ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2022 წლის 28 ივნისის

სხდომის ოქმი №2

ქ. ახალციხე 2022 წელი, 28 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

რუბენ კარაპეტიანი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნუგზარ თათეშვილი
2. ზელა ავალიშვილი
3. ომარი ჯაყელი
4. ნონა ონიანი
5. აშოთ კავალერიან
6. გურამი ჯინჭველაძე
7. მაია გაჩეჩილაძე
8. ბიჭიკო მოდებაძე
9. ჯაბა ნათენაძე
10. მერაბი ბერიძე
11. მაკა ბერიძე
12. შალვა ტაბატაძე
13. ციური ლაფაჩი
14. ვასილ კვინცხაძე
15. ალექსანდრე ლომსაძე
16. ნინო ხაზალაშვილი
17. რომან მაისურაძე
18. ნატალი სისვაძე
19. მეგი თათეშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი
2. ამალია სარქისიან
3. ნინო რუხაძე
4. გიორგი ბუცხრიკიძე
5. ნიკოლოზ ხიზაძე
6. თამარ კაპანაძე
7. მანუჩარ გოგოლაური
8. ნატალია ტაბლიაშვილი

დღის წესრიგი

1. დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, სამომავლო გეგმები;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარების შესახებ;
3. 30 ივნისს, შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიების შესახებ;
4. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და ინიციატივები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ, ისაუბრა მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე, არსებული საჭიროებების მოგვარებაზე.

მერმა, საბჭოს წევრებს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით მიმდინარე და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს, როგორც სოფლებამდე მისასვლელი ცენტრალური საავტომობილო გზების, ასევე შიდა გზების მოწყობა. რეაბილიტაცია უტარდება სასმელ წყლის სისტემებს, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებს და სადარბაზოებს. მიმდინარეობს ახალი სკვერებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა.

ირაკლი ლაზარაშვილმა დეტალურად ისაუბრა მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ, მისი თქმით პროექტების ნაწილი

დასრულებული, ნაწილი კი აქტიურ ფაზაშია. ამ ეტაპზე, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ქალაქ ახალციხეში და მუნიციპალიტეტის სოფლებში 5 პროექტი უკვე განხორციელდა. მათ შორის, კეთილმოეწყო: წყრუთისა და წირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, სოფელ ტყემლანის საავტომობილო გზა, სოფელ წნისის შიდა საავტომობილო გზა, ქ. ახალციხეში საფარის ქუჩაზე არსებული გზის მონაკვეთი, სოფელ გიორგიწმინდის შიდა საავტომობილო გზა, უახლოეს ხანში დასრულდება, სოფელ თისელის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაც. მისივე განმარტებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, როგორც, ქალაქის შიდა გზების, ისე სოფლებამდე მისასვლელი და შიდა საუბნო გზების მოწესრიგება და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ რუბენ კარაპეტიანმა, საბჭოს წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ცდილობს ბიუჯეტიდან კიდევ უფრო მეტად მხარდაჭერილი იყოს აღნიშნული მიმართულებები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ჯანდაცვა. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და დროებითი რეგისტრაციის მქონე ყველა მოქალაქისათვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან მოქალაქეთა დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მხრიდან მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა განისაზღვრება ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან ონკო. პაციენტები, შშმ ვეტერანები, ეპილეფსიითა და ფსიქიური პრობლემებით დაავადებული პირები, ასევე გულის იშემიური დაავადებისა და თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებული პირები.

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარების გაცემის წესი“ 28 პროგრამული მუხლისაგან შედგება, საიდანაც პირველი 7 მუხლით განსაზღვრულია ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, ხოლო დანარჩენი 21 მუხლი კი მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს.

ჯანდაცვის პროგრამებია:

1. სამედიცინო კვლევების დაფინანსება/ანაზღაურება;
2. გეგმიური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების დაფინანსება/ანაზღაურება;
3. ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამკურნალო პაკეტი;
4. სტაციონარული მკურნალობის დაფინანსება;
5. ვეტერანთა მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
6. ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება.
7. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით

უზრუნველყოფას. ამ მიზნით ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობს სხვადასხვა სოციალური პროგრამების განხორციელება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის „2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარების გაცემის წესი"- ით გათვალისწინებული პროგრამები ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალდაბადებულ ბავშვთა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, ბავშვთა და ბავშვიანი ოჯახების მხარდამჭერი პროგრამების, ასევე ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირების კუთხით, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალურ დახმარების პროგრამებია:

1. სოციალური დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის;
2. 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების/ჰიგიენური მოვლის საშუალებების დაფინანსება;
3. მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება;
4. ა(ა)იპ – სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება;
5. იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება;
6. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;
7. სოციალური დახმარება მეწყერის შედეგად დაზარალებული უსახლკარო ოჯახებისთვის;
8. შშმ პირის სტატუსის მქონე ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება;
9. ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მქონე პირთა სოციალური დახმარება;
10. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება;
11. უხუცესთა სოციალური დახმარება;
12. შშმ პირთა სოციალური დახმარება;
13. შშმ ბავშვთა სოციალური დახმარება;
14. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარება;
15. უსახლკაროთა და მიუსაფართა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა;
16. ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის'' უფასო სასადილოს მომსახურება;
17. შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარება;
18. თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა სოციალური დახმარება;
19. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დახმარება;
20. ობოლ ბავშვთა სოციალური დახმარება;
21. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოძრავი სამარშრუტო ტრანსპორტის ღირებულების თანადაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან განხორციელდეს

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წრიული მარშრუტით, მგზავრთა გადაყვანის საფასურის 50%-იანი თანადაფინანსება.

სოციალური პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილია ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან 1 585 226 (მილიონხუთასოთხმოცდახუთი ათასორაოცდაექვსი) ლარი, აქედან ზემოხსენებული პროგრამებისთვის გათვლილია 830 476 (რვასოცდაათიათასოთხასსამოცდათქვსმეთ) ლარი, სადაც ახალციხის მუნიციპალიტეტის „ააიპ სათნოების სახლის" დაფინანსება არის 193 000 (ასოთხმოცდაცამეტიათასი).

მიმდინარე წელს საწვავზე ფასების მატების გამო გაიზარდა მგზავრობის ღირებულება, აღნიშნულიდან გამომდინარე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე გაზარდა დაფინანსება, კერძოდ ზემოაღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 22 000 (ოცდაორიათასი) გაორმაგდა და გახდა 44 000 (ორმოცდაოთხი).

შეხვედრაზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა საბჭოს წევრებს 30 ივნისს, შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო პროგრამა გააცნო და ღონისძიებებზე მიიწვია.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და თავიანთი იდეებით, რეკომენდაციებითა და წინადადებებით მიმართეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

საბჭოს წევრმა, არასამთავრობო ორგანიზაციის „თანადგომა შვილებს" წარმომადგენელმა **მაია გაჩეჩილაძემ** დადებითად შეაფასა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში მოსახლეობისათვის გაწეული დახმარების 6 თვის ანგარიში. მისი თქმით, გამოჩნდა დონორი, რომელიც ШШმ პირთა დღის ცენტრისთვის შენობის სრულ რეაბილიტაციას განახორციელებს. უახლოეს მომავალში აღნიშნულთან დაკავშირებით მერიას უფრო დეტალურ და დაზუსტებულ ინფორმაციას წარუდგენს. მან იმედი გამოთქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მხარს დაუჭერს პროექტის განხორციელებაში.

მერის თქმით ქალაქში აღნიშული პროფილის მქონე რამდენიმე ორგანიზაციაა, რომლებიც ასევე, საჭიროებენ თანადგომას და კარგი იქნება მომავალში თუ მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რითაც ყველა ორგანიზაცია ისარგებლებს. საუბარი შეეხო არსებული შენობის რეაბილიტაციას და შემდგომში მათთვის სარგებლობაში გადაცემას.

საინფორმაციო სააგენტო „სამხრეთის კარიბჭეს" ჟურნალისტი **თემურ ინასარიძე** ქალაქ ახალციხეში, ცენტრალურ სტადიონსა და №2 საჯარო სკოლას შორის არსებულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის საკითხით დაინტერესდა. მერის თქმით, აღნიშნული პროექტი მისთვის პრიორიტეტულია და მიმდინარეობს მუშაობა მის განსახორციელებლად.

საბჭოს წევრმა **ჯაბა ნათენაძემ,** სოციალურ ქსელში განთავსებული გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის მხრიდან წამოყენებულ პრობლემებზე და ინიციატივებზე მიაწოდა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. მათ შორის: სკვერებსა და რეკრეაციულ ზონებში განათების სისტემის გაუმართაობა, დიაბეტიანი ბავშვებისთვის დახმარების გაწევა და ჯანდაცვის პროგრამაში ასახვა, თამარაშვილის ქუჩაზე, №2 საბავშვო ბაღთან მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის შესახებ, სოფელ მუგარეთში სანიაღვრე არხების მოწყობის შედეგად მოსახლეობისთვის წარმოქმნილი პრობლემის შესახებ,

სარკინიგზო ხაზის აღდგენის აუცილებლობის, ქალაქ ახალციხის №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის, სოფელ საყუნეთისა და ტყემლანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, 9 აპრილის ქუჩაზე №19 კორპუსის ფასადის რეაბილიტაციის, რუსთაველის ქუჩა №105-ში ეზოს მოწესრიგების, ქალაქში მიუსაფარი ცხოველების პრობლემის, ივანე ახალციხელის ქუჩაზე შიდა გზის მოასფალტებისა და სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგების. ასევე, ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩაზე მოსახლეობის მხრიდან 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფისა და ფალიაშვილის ქუჩაზე სასმელი წყლის პრობლემის შესახებ.

ირაკლი ლაზარაშვილმა დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ დიაბეტიანი ბავშვების დახმარება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ჯანდაცვის პროგრამებში. რაც შეეხება, მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩაზე №15 და №25 კორპუსების რეაბილიტაცია. ეტაპობრივად გაგრძელდება ქალაქის იერსახის მოწესრიგება და სხვა კორპუსების მოწესრიგებაც, თუმცა მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხრიდანაც იყოს სიმბოლური თანამონაწილეობა. რაც შეეხება, სოფელ მუგარეთში სანიაღვრე არხების მოწყობასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემას საკითხი შესწავლილი იქნება და მერიის სამსახურების მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოხდება. ქალაქ ახალციხის №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით პეტიციაცაა შემოსული, შენობის მდგრადობაზე საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა, რომ მომავალში დაიგეგმოს მისი დემონტაჟი ან რეაბილიტაცია. რაც შეეხება ტყემლანა-საყუნეთის შემოვლითი გზის მოწყობას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სოფელ ტყემლანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მერის თქმით, ყველა არსებული პრობლემების აღმოფხვრა ეტაპობრივად მოხდება. რაც შეეხება, ქალაქის გენერალური გეგმის შედგენას, იგი საჭიროებს დიდ ფინანსურ რესურსს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციაზე და იმ ქალაქების მაგალითის შესწავლა, რომლებსაც უკვე აქვთ შემუშავებული ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა.

ირაკლი ლაზარაშვილმა, ქალაქ ახალციხეში პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, სულ მალე ქალაქს ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური პარკი, სადაც დაიდგმება ახალი საბავშვო ატრაქციონები, ასევე ურბანული განახლების სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე.

ქალაქის წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით მერმა აღნიშნა, რომ საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და ამ ეტაპზე, ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამისი პროცედურები მიმდინარეობს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირება. გაზი უკვე შეყვანილია სოფლებში: ივლიტაში, მუსხში, ურაველში წყორძაში, ანდიაწმინდაში, ახალშენში, კლდეში, წნისში. საპროექტო სამუშაოები დაწყებულია აწყურის, აგარის და ზიკილიის გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. უახლოეს ხანში აღნიშნულ სოფლებშიც დაიწყება სამუშაოები, ხოლო 2024 წლამდე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი გაზიფიცირდება.

მიუსაფარი ცხოველების პრობლემასთან დაკავშირებით მერია საკმაოდ დიდ ძალისხმევას და ფინანსურ რესურს ხარჯავს, ეტაპობრივად ცხოველების გადაყვანა ხდება გორის ცხოველთა თავშესაფარში, სადაც შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ ხორციელდება მათი ბუნებრივ არეალში დაბრუნება.

საბჭოს წევრმა **ბიჭიკო მოდებაძემ** შემდეგი საკითხები წამოაყენა: ქალაქში ავტოსადგურის ტერიტორიის მოწესრიგება, ცენტრალურ ხელისუფლებასთან რკინიგზის აღდგენის საკითხის დასმა, ქალაქში პარკირების საკითხის მოგვარება, რუსთაველის ქუჩაზე უნივერსიტეტისა და საავადმყოფოს შორის საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, ბავშვთა ბანაკების აღდგენა, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გარე ვაჭრობის აკრძალვა, შალვა ახალციხელის ქუჩა №2-ში მდებარე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეაბილიტაცია, მესხეთი დრამატული თეატრის წინ ვერცხლისფერი ნაძვების მოვლა და სხვა.

ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ ავტოსადგურს ჰყავს კერძო მესაკუთრე და შესაბამისად მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას, მოაწესრიგოს აღნიშნული ტერიტორია. რაც შეეხება პარკირების პრობლემას, ამ ეტაპზე, ქალაქი მზად არ არის ამ მიმართულებით რეგულაციების დასაწესებლად, თუმცა ამ მიმართულებით მომავალში ღონისძიებების გატარება იგეგმება. მერმა ასევე განაცხადა, რომ უახლოეს ხანში მიმართავს საკრებულოს მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის შექმნასთან დაკავშირებით. რუსთაველის ქუჩაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის პრობლემაზე კი აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დაინტერესდება და შეისწავლის საკითხს. გარე ვაჭრობის პრობლემის აღმოსაფხვრელადაც მუნიციპალიტეტი აგრძელებს მუშაობას. რაც შეეხება შალვა ახალციხელის ქუჩა №2-ში მდებარე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეაბილიტაციას, იგეგმება მისი მოწესრიგებაც. რაც შეეხება ქალაქის მასშტაბით მწვანე ნარგავების მოვლას, მუდმივ რეჟიმში ირწყვება ხეები, მათ შორის ცენტრალურ პარკშიც, თუ რომელიმე გახმობის საშიშროების წინაშე დგას, რა თქმა უნდა რეაგირებას მოახდენენ მერიის სამსახურები. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ პარკში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ეწყობა ახალი სარწყავი სისტემა, რაც გააადვილებს მომავალში მწვანე ნარგავების მოვლას.

საბჭოს წევრმა **მერაბ ბერიძემ** ქალაქში განთავსებული სარეკლამო ბანერების პრობლემა დააყენა და აღნიშნა, რომ შესასწავლია აკმაყოფილებენ თუ არა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ისაუბრა ასევე, სამუსიკო სკოლის შენობაში ორბელიანების სახლის აღდგენის იდეაზე.

როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციაა და მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება იგეგმება, ამასთანავე არსებობს იდეა, რომ რეაბილიტაციის შემდეგ აქ მაღალი დონის ხელოვნების ცენტრი და საგამოფენო სივრცეები მოეწყოს, სადაც სხვადასხვა მხატვრების ნამუშევრების გამოფენები გაიმართება.

საბჭოს წევრმა **გურამ ჯინჭველაძე,** რაბათის ტერიტორიაზე არსებული ტყისთვის დაცული ტერიტორიის ან ნაკრძალის სტატუსის მინიჭების იდეით გამოვიდა, მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშულ ტერიტორიაზე არ მოხდეს ხელოვნური ჩარევა, მათ შორის რესტორნებისა და კვების ობიექტების მშენებლობა.

საბჭოს წევრმა **მეგი კვახაჭელიძემ** სახელოვნებო და სპორტული წრეების დაფინანსებაზე, მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე და სპორტის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვაზე ისაუბრა.

საბჭოს წევრმა **ნონა ონიანმა** მიქუტიშვილის ქუჩაზე, №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობის საკითხი დასვა. მერის თქმით მომავალში იგეგმება აღნიშნული მიმართულებით კომპლექსური სამუშაოების ჩატარება და მწვანე ზოლის მოწყობა.

საბჭოს წევრმა **ალექსანდრე ლომსაძემ** თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის პრობლემის და თაბუკაშვილის ქუჩაზე, დაუსრულებელ (მშენებარე) სახლში არსებულ ანტისანიტარიაზე ისაუბრა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოითხოვა.

საბჭოს წევრმა **ვასილ კვინიხაძემ**, მრავალსართულიანი კორპუსების ეზოების მოწესრიგებაზე გაამახვილა ყურადღება, ასევე ხაზი გაუსვა თამარაშვილის ქუჩაზე, ავტო სადგურის ტერიტორიის რეაბილიტაციის აუცილებლობას.

სხდომის დასასრულს მერმა მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" თითოეულ წევრს აქტიურობის, საინტერესო იდეების წარმოდგენისა და არსებული პრობლემების თუ საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი _____

2 ცირა მესხიშვილი _____

3 ამალია სარქისიან _____

4 ნინო რუხაძე _____

5 ბელა ავალიშვილი _____

6 ომარი ჯაყელი _____

7 ნონა ონიანი _____

8 აშოთ კავალერიან _____

9 გურამი ჯინჭველაძე _____

10 მაია გაჩეჩილაძე _____

11 ბიჭიკო მოდებაძე _____

12 ჯაბა ნათენაძე _____

13 გიორგი ბუცხრიკიძე _____

14 მერაბი ბერიძე _____

15 მაკა ბერიძე _____

16 შალვა ტაბატაძე _____

17 ნიკოლოზ ხიზაძე _____

18 ციური ლაფაჩი _____

19 ვასილი კვინცხაძე

20 თამარ კაპანაძე

21 ალექსანდრე ლომსაძე

22 ნინო ხაზალაშვილი

23 მანუჩარ გოგოლაური

24 რომან მაისურაძე

25 ნათია ტაბლიაშვილი

26 ნატალი სისვაძე

27 მეგი თათეშვილი